ამბროლაურის რაიონული სასამართლოს ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ III თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, ამბროლაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე - სასამართლოს მენეჯერი მერაბ კობახიძე.

სასამართლოს საქმიანობის თავისებურების გათვალისწინებით, ამბროლაურის რაიონული სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს მოთხოვნილი მასალების ქსეროასლების ან ელექტრონული მატარებლის მეშვეობით ინფორმაციის მიწოდებას, სტატისტიკურ მონაცემთა გაცემას, სასამართლო საქმეების გაცნობას საამისოდ განკუთვნილ სპეციალურ დარბაზში და ა.შ.

2015 წლის განმავლობაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით 15 განცხადება შემოვიდა. შემოსულ განაცხადთაგან 15–ე მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

მოთხოვნის დაკმაყოფილების გადაწყვეტილება მიღებული იქნა შემდეგი საჯარო მოსამსახურის მიერ:

მერაბ კობახიძე - სასამართლოს მენეჯერი-2011 წლის 3 იანვრიდან ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში არ შემოსულა.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტი არ ყოფილა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი -

სასამართლოს მენეჯერი მერაბ კობახიძე